გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 171

2025 წლის 14 ნოემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2025 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2025 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2025 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის 27 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ნადირაძე

განათლება

განათლების სფეროს ხელშეწყობა, ერთერთი პრიორიტეტულია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ამის ნათელი მაგალითია მზარდი საბიუჯეტო სახსრები აღნიშნულ სფეროში, ახალგაზრდების ინტერესებზე მორგებული საგანმანთლებლო მუნიციპალური პროგრამები, თანამშრომლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა უწყებებთან.

მერიის განათლების განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) განათლების მუნიციპალური პროგრამის შემუშავებას;

ბ) განათლების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

გ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობას;

დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

<u>განათლების მუნიუციპალური პროგრამა/ქვეპროგრამა:</u>

- **,,განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა“** (დადგენილება #21 / 10.04.2020 - ,,გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“). პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, კლასგარეშე აქტივობების/პროექტების განხორციელება, მოსწავლე-ახალგაზრდების ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლება, ახალგაზრდების წახალისება, მათი დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა განათლების მუნიციპალურ პროგრამაში, პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობის/კოორდინაციის ხელშეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან.
- **,,გორის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების წახალისების და დაჯილდოვების პროგრამა“** (განკარგულება #190/ 13.12.2024 – ,,გორის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და ახლგაზრდული ღონისძიებების წახალისებისა და დაჯილდოვების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“) ,,სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა და დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამა“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსურ დაჯილდოვება/წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100%-იანი საგრანტო ქულის მიხედვით.

აგრეთვე წარმატებით ხორციელდება ,,საზაფხულო ბანაკი“ დაბა ბაკურიანში გორის მუნიციპალიტეტის 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდებისთვის (სულ 150 ახალგაზრდა), რომლის მიზანია ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი

თვითმართველობის პროცესებში. ბანაკი დატვირთულია საგანმანათლებლო (სატრენინგო კურსი), აგრეთვე შემეცნებითი-კულტურული-სპორტული აქტივობებით.

ინდიკატორი: განხორციელებული პროექტების რაოდენობა, პროექტებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა, საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილე წახალისებული და დაჯილდოვებული მოსწავლეების რაოდენობა, 100% -იანი გრანტის მქონე სკოლის კურსდამთავრებულების რაოდენობა (იხ. ცხრილი #1).

ცხრილი #1

№	**პროექტის სახელწოდება**	**პროექტის განხორციელების პერიოდი**	**პროექტის წარმდგენი/ განმახორციელებელი**	**პროექტის ბიუჯეტი** (ხელშეკრულებით, ლარი)	**მერიის ფინანსური წილი პროექტში**	**ორგანიზაციის ფინანსური წილი**	**ბენეფიციართა რ-ბა**	**შენიშვნა**
1.	,,ჩემი სოფლის ორნამენტი“	თებერვალი - ივნისი	სსიპ გორის მუნიც. სოფელ ახალდაბის საჯარო სკოლა	3 650	3 100- ხელშეკრულებით; ფაქტი - 2900 ლ	550	30	**ხელშეკრულება #1, ვადა - 06.02.25- – 31.12.25 -** დასრულდა.
2.	,,განათლება უკეთესი მომავლისთვის“	მარტი-ივლისი	ა(ა)იპ სკრის ასოციაცია ბეთლემი	7 060	5 910	1 150	30	**ხელშეკრულება #2, ვადა - 12.02.25- – 31.12.25 -** დასრულდა.
3.	,,საზაფხულო ბანაკი 2025'' - დაბა ბაკურიანში	ივნისი-აგვისტო	ა(ა)იპ საერთაშორისო ინოვაციური ინდუსტრია	99 500	88 500	10 000	180	**ხელშეკრულება #3, ვადა - 21.02.25- 31.12.25 -** დასრულდა.
4	,,კითხვის მაგია- მკითხველთა კლუბი მოსწავლეებისთვის“	მაისი-ნოემბერი	სსიპ გორის მუნიც. სოფელ სვენეთის საჯარო სკოლა	1000	800	200	89	**ხელშეკრულება #4, ვადა - 19.05.25 – 31.12.25 .** მიმდინარე .
5.	,,აგრარული განათლების ელჩები“		სსიპ გორის მუნიც. მე-7 საჯარო სკოლა	2 945	1800	845- სკოლა; 300- დონორი -სანერგე მეურნ.	80	**ხელშეკრულება #5, ვადა - 21.05.25 – 31.12.25 .** მიმდინარე .
6.	,,ჩემი არჩევანი“	სექტემბერი-დეკემბერი	სსიპ გორის მუნიც. პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლა	1200	900	300	25	**ხელშეკრულება #6, ვადა - 22.05.25 – 31.12.25.** მიმდინარე .
7.	,,საქართველოს დაცული ტერიტორიები და ფრინველების მიმოფრენა“		სსიპ გორის მუნიც. მე-9 საჯარო სკოლა	2 800	2 300	500	30	**ხელშეკრულება #7, ვადა - 23.09.25 – 31.12.25.** მიმდინარე .
8.	გორის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლის კურსდამთავრებულების დაჯილდოვება ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგის	ნოემბერი	გორის მერია	20 000	20 000		40	100%-იანი გრანტის მქონე კურსდამთავრებულების დაჯილდოვება. მიმდინარე

	(100%-იანი გრანტის) მიხედვით							
	ჯამი	**8 პროექტი**			**123 110**		**504**	

სკოლამდელი განათლება

დღეისათვის გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს **64** სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება, 19 - ქალაქად, 45 - სოფლად; აგრეთვე სკოლამდელი განათლების 3 ალტერნატიული მოდელი : სასკოლო მზაობის ცენტრები მე-14 საბავშვო ბაღის ბაზაზე და სოფელ დიცში და ბოშურის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი.

2025 წელს ოქტომბრის მდგომარეობით სკოლამდელი განათლების ბიუჯეტი შეადგენს - **14 710 500 ლარს.**

უზუნველყოფილია თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი განათლების სერვისზე, მათ შორის სსსმ პირებისთვის და შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების მიწოდება; ბაღებს ემსახურება ხელშეკრულებით აყვანილი 3 ფსიქოლოგი, 7 სპეც. მასწავლებელი და 71 ინდივიდუალური ასისტენტი. აგრეთვე ყველა საბავშვო ბაღებს ყავს ექთანი.

იმ სოფლებში, სადაც არ არის საბავშვო ბაღები, სააგენტო უზრუნველყოფს აღსაზრდელთა ტრანსპორტირებას უახლოეს მეზობელ სოფლებში აღნიშნული სერვისის მისაღებად. საერთო ჯამში, ტრანსპორტირება ხორციელდება 27 მიმართულებით და ემსახურება 386 აღსაზრდელს.

საბავშვო ბაღებში **კვების ხარჯი** თითოეულ აღსაზრდელზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა და ყოველდღიურად **6,50** ლარს შეადგინს.

სკოლამდელი განათლების სერვისით გორის მუნიციპალიტეტში სარგებლობს 4 491 აღსაზრდელი(ქალაქი - 2537 აღსაზრდელი; სოფლად - 1954 აღსაზრდელი), აქედან სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართულია 738 აღსაზრდელი. სულ სისტემაში დასაქმებულია 1376 პერსონალი, აქედან შტატით - 1046, შტატგარეშე - 330.

პერმანენტულ რეჟიმში ხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგ-კურსები, კერძოდ:

- „გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარება“ - განათლების სამინისტრო, მსოფლიო ბანკი და აშშ-ს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (I2Q პროექტი- ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი- 2025 წ. მარტი) .
- მენტორინგი და ქოუჩინგი - აშშ-ს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების სამინისტრო, მსოფლიო ბანკი (I2Q პროექტი- ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი- 2025 წ. მარტი, აპრილი, მაისი) .

- პროექტის „საქართველოში სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის მხარდამჭერი სისტემის გაძლიერება ძალადობის წინააღმდეგ საკითხებში" - სასწავლო პროგრამა "ბავშვთა მიმართ ძალადობა: სამართლებრივი საკითხები და ფსიქოლოგიური ასპექტები; ძალადობის გამოვლენა; ბავშვებთან მუშაობა და ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე სამსახურებს/დაწესებულებებს შორის უწყებათაშორისი თანამშრომლობა". - ბენეფიციარები: ფსიქოლოგები, მეთოდისტები და აღმზრდელები - ფონდი HumanDoc Polish Aid-თან თანამშრომლობით - 2025 წ. თებერვალი-ივლისი)
- საბავშვო ბაღების პერსონალისთვის ტრენინგი ,,HACCP–ის სისტემის მართვისა და მონიტორინგის მექანიზმები საბავშვო ბაღის კვების ბლოკში" (სულ გადამზადდა 101 ბენეფიციარი;- 2025 წ. იანვარი-თებერვალი).

<u>სამომავლოდ 20206 წელს იგეგმება:</u>

- ,, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული სტანდარტი" - მეორე ცვლის 100 აღმზრდელის გადამზადება 66 საათიანი ტრენინგ-მოდულის თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.
- ,,HACCP–ის სისტემის მართვისა და მონიტორინგის მექანიზმები საბავშვო ბაღის კვების ბლოკში"- პერსონალის გადამზადება.

ინფრასტრუქტურა:

1) დასრულდა სოფელ **ვარიანის, შავშვების, ზერტის** და **ფლავის** საბავშვო ბაღების მშენებლობა (მგფ) და მიმდინარეობს ინვენტარით აღჭურვის პროცესები (ადგილობრივი ბიუჯეტი) :
2) 2026 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაგეგმილია **ხიდისთავის** და **მერეთის** ბაღების მშენებლობა და **გორის #1** ბაღის რეკონსტრუქცია-მშენებლობა;
3) 2025-26 წ. - ადგილობრივი ბიუჯეტიდან იგეგმება **ახალდაბის** საბავშვო ბაღის მშენებლობა და **ატენის, რეხის, ქიწნისის მეურნეობის** და **გორის #10** საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია:
4) გრძელდება საპროექტო წინადადების მომზადება სოფელ **შინდისისა** და **ტირძნისის** საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისთვის - მუნიციპალური განვითარების ფონდი.

საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა

განათლების განყოფილება, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში (2019 წლიდან), უზრუნველყოფს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის ინსპექტირებას (საქართველოს მთავრობის განკარგულება № 147/ 23 იანვარი 2023 წ. ქ. თბილისი - ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ").

ტრანსპორტით მომსახურება 2025 წელს ხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის 43 საჯარო სკოლაში, აქედან ქალაქის 8 და სოფლის - 35 სკოლაში, პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 2600-მდე მოსწავლეს. ხელშეკრულების თანახმად, ტრანსპორტით მომსახურების ღირებულება შეადგენს - 1 380 568, 60 ლარს. მარშრუტის რ-ბა - 116, მიმართულება - 250.

ტრანსპორტირების ხარჯი წლების მიხედვით:

2025 წ. - 1 380 568,60 ლ (საჯარო სკოლა - 43 , მარშრუტის რაოდენობა - 103, მოსწავლე 2600);

2024 წ. - 1 928 252, 70 ლ (საჯარო სკოლა - 44, მარშრუტის რაოდენობა - 116, მოსწავლე- 2500);

2023 წ. – 1 453 479, 45 ლ (საჯარო სკოლა - 43, მარშრუტის რაოდენობა -90, მოსწავლე -2500);

2022 წ. – 655 667,60 ლ (საჯარო სკოლა - 44; მატრშრუტის რაოდენობა - 81; მოსწავლე -2200);

2021 წ. - 530 660,48 ლ (საჯარო სკოლა - 43; მარშრუტის რაოდენობა - 83; მოსწავლე - 2200);

2020 წ. - 199 450, 63 ლ (საჯარო სკოლა - 43 ; მარშრუტის რაოდენობა - 82; მოსწავლე - 2150);

2019 წ. - 498 148, 77 ლ (საჯარო სკოლა - 43; მარშრუტის რაოდენობა - 80; მოსწავლე - 2200).

სამომავლო გეგმები:

1. მიმდინარე წლის ნოემბერის თვეში იგეგმება სკოლის კურსდამთავრებულების დაჯილდოვება /ფინანსური წახალისება, ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (საგრანტო ქულის - 100 %) მიხედვით.
2. განათლების მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში გრძელდება პროექტების დაფინანსება და მონიტორინგი კანონით გათვალისიწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.
3. გაგრძელდება საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

კულტურის განყოფილების

2025 წლის ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილება, ახორციელებს კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას და თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში, რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას, საპატიო გორელების და გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების, დაჯილდოვებას და მათ წახალისებას, ასევე სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში გამარჯვებული ხელოვანების დაჯილდოვებას ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.
გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილება ასევე ახორციელებს კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, კულტურული მემკვიდრეობის, საგანძურის, რელიგიური მნიშვნელობის კერების რეაბილიტაციის და მშენებლობის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-შენახვის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრებისა და რელიგიური კერების აღდგენა-რეაბილიტაცია, რელიგიური კერების ხელშეწყობა.

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში წლის ბოლომდე მიმდინარეობს ტიხრული მინანქრის კურსის შესწავლა კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის შშმ ახალგაზრდებისთვის.

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს კერამიკის კურსის შესწავლა კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის შშმ ახალგაზრდებისთვის.
კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს კერამიკის კურსის შესწავლა ახალგაზრდებისთვის (კერამიკოსი გიორგი ტატულაშვილის მიერ).
კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს პროექტი სოფელ ნიქოზში მცხოვრები ჭრა - კერვით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. სასწავლო კურსი ითვალისწინებს ნიქოზში არსებული წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის სკოლის შემოქმედებითი წრეების მოსწავლეებისთვის ტრადიციული სამოსის შექმნას. სამოსის შექმნის პროცესს მოწვეული პროფესიონალები უძღვებიან. ტრადიციული სამოსით ჯამში 60 -მდე სკოლის მოსწავლე შეიმოსება. ისინი პროექტის ფარგლებში შეკერილი სამოსით წარსდგებიან როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ღონისძიებებზე, რაც ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

1 იანვრიდან 14 იანვრის ჩათვლით გორში, საახალწლო ღონისძიებები გაიმართა.
ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სხვადასხვა სახის გასართობი აქტივობების პარალელურად, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვაც მიმდინარეობდა.
დასკვნითი ღონისძიებაზე მოწვეულმა შემსრულებლებმა იმღერეს.
ღონისძიებაზე საკუთარი შემოქმედება წარმოადგინეს ოპერის ორკესტრმა, ნუკრი კაპანაძემ, თემურ თათარაშვილმა, ნათია პერანიძემ, დათუნა სირბილაძემ, გიორგი მეფისაშვილიმა, კვარტეტმა "ავტოგრაფმა", Georgian Six - მა, ეკა დოლიძემ და მარიამ როინიშვილმა.საღამო ფოიერვერკით დასრულდა.

გორში შობის დღესასწაულთან დაკავშირებით ტრადიციული ალილოს მსვლელობა გაიმართა.
სასულიერო პირებმა, მახარობლებმა , სტიქაროსნებმა და მრევლმა ქალაქი ლოცვით და გალობით ფეხით შემოიარეს და მოსახლეობას ქრისტესშობა ახარეს.
ალილოს მსვლელობას შეუერთდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც. მათ მახარობლებს შობის დღესასწაული მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.
საშობაო ნობათი მეუფე ანდრიას გადაწყვეტილებით სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადაეცათ.

მიმდინარე წლის 27 იანვარს მწერალთა სახლში წმინდა ნინოს ხსენების დღე აღინიშნა მოწვეული იყო მამა გიორგი კარელიძე, რომელმაც საინტერესო მოხსენება გააკეთა წმინდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ.

მიდინარე წლის 21 თებერვალს გიდების საერთაშორისო დღე აღინიშნა.
გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა მუზეუმებსა და გიდებს პროფესიული თარიღი მიულოცეს და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის მადლობის სიგელები გადასცეს.
შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალზე და გიდების როლის მნიშვნელობაზე ტურიზმის განვითარებაში.
გიდების საერთაშორისო დღე 1985 წლიდან მსოფლიოს 100-მდე ქვეყანაში აღინიშნება.

დედის დღესთან დაკავშირებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, 3 მარტს გორის გიორგი ერისთავის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში ანსამბლ "ქართული ხმების" კონცერტი გაიმართა ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიცია ,,წუთისოფელი''

მიმდინარე წლის 21 მარტს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით კულტურის ცენტრში, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შშმ პირების მონაწილეობით სპექტაკლი გაიმართა.
ინტეგრირებულმა თეატრმა „აზდაკის ბაღმა“ წარმოდგენა ნოდარ დუმბაძის ,,ჰელადოს“ - ის მიხედვით დადგა. დასის 42 წევრიდან, 21 შშმ მსახიობი იყო.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, შშმ პირები და მათი ოჯახის წევრები.

მიმდინარე წლის 1ივლისიდან15 - და 29 წლის ასაკის ახალგაზრდებისთვის გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ხალხური რეწვის შემსწავლელი კურსები გაიხსნა.

კურსებს უძღვება ხალხური რეწვის ოსტატი მარინე ბეგლარიშვილი. ექვსთვიანი სწავლის პროცესი სერგი მაკალათიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში განთავსებული სახელოსნო მასპინძლობს.

გაკვეთილები შაბათ - კვირას 13:00 საათიდან 16:00 საათებში ტარდება. პროექტის ფარგლებში მოზარდები შეისწავლიან ეროვნული სამოსის კერვას, ქართული სუვენირების დამზადებას, თოჯინებისა და ღვინის ბოთლების ეროვნული სამოსით გაფორმებას. მოეწყობა ნამუშევრების გამოფენები. პროექტი გორის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მოხდა სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის გოგონათა გუნდის თანადაფინანსება, რომლებიც მიმდინარე წლის 3 აპრილს პერსონალურად მიწვეულია ლატვიის დედაქალაქ რიგაში პრესტიჟულ საგუნდო კონკურსზე RIGA SINGS-2025, რომელიც მსოფლიო საგუნდო ასოციაცია INTERKULTUR-ის ეგიდით იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში.

გორის სულხან ცინცაძის სახელობის მუსიკალური კოლეჯის გოგონათა გუნდმა საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე გაიმარჯვა. გუნდი ლატვიაში გამართული საერთაშორისო ფესტივალის გრან - პრის მფლობელია. გარდა ამისა, გუნდის ხელმძღვანელი ნინო წიკლაური კონკურსზე საუკეთესო დირიჟორის ნომინაციის გამარჯვებული გახდა.

ღონისძიებაში 12 ქვეყნის 30-ზე მეტი მუსიკალური გუნდი იღებდა მონაწილეობას გოგონათა გუნდი ფესტივალზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაემგზავრა.

~9 აპრილს სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპული გმირები გაიხსენეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს.
ხელისუფლების წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოქალაქეებთან ერთად 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს.
სასულიერო პირებმა გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.
1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რასაც 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.
"9 აპრილი არის გმირობის, ცრემლისა და სიხარულის დღე. ეს არის სიმბოლო მტკიცე ნებისყოფის, ერთიანობისა და იმედისა. ამ დღემ დაგვიბრუნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

მიმდინარე წლის 14 აპრილს გორის მუნიციპალიტეტის მერიის და ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების ორგანიზებით დედა ენის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა
გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითრების სააგენტო დედა ენის დღესთან დაკავშირებით ღონისძიებათა ციკლს ყოველ წლიურად ახორციელებს
ტარდება სხვადასხვა შინაარსის კონკურსები, რომლის მიზანი ქართული ენის პოპულარიზაციაა
ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის განყოფილებაში ჩატარდა ესსეების, კალიგრაფიის, მხატვრული კითხვის კონკურსი
ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში განხორციელდა პროექტი ,,საუკეთესო მოქართულე''

კონკურსები მარტის თვეში დაიწყო და ეტაპობრივად ხორციელდებოდა
14 აპრილს დედა ენის დღეს საზეიმო ღონისძიებით დასრულდა
ღონისძიებაში კულტურის სააგენტოს შემოქმედებითი წრეების მოსწავლეები მონაწილეობდნენ
კონკურსში გორის საჯარო და კერძო სკოლების 400 მდე მოსწავლე მონაწილეობდა
გამარჯვებულები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გამოვლინდა და ახალგაზრდებს გადაეცათ სიგელები.

მიმდინარე წლის 5 მაისს გორის მუნიციპალიტეტისა და „ქართული გენია ჰოლდინგის“ მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის - „ციფრული ინტელექტის - 2025“ მონაწილეები სიგელებით დააჯილდოეს.
განსაკუთრებული პრიზები გადაეცათ ყველაზე წარმატებულ ახალგაზრდებს. ღონისძიებაზე ასევე გამოვლინდნენ პროექტის - „ხელოვნება საზღვრების გარეშე“ გამარჯვებულები.
ახალგაზრდული პროეტქების მონაწილეები გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ დალოცა და საჩუქრად ხატი გადასცა, მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტში 700-მდე ახალგაზრდა ჩაერთვება, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდებიან.

მიმდინარე წლის 7 მაისს ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს, გორში სახალხო დღესასწაული ოქონობა აღინიშნა.
ოქონის ტაძარში სადღესასწაულო წირვა გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ აღავლინა. წირვის შემდეგ ქალაქის ქუჩებში მსვლელობა გაიმართა.
მსვლელობისას მეუფემ გორი და გორელები დალოცა.
წირვას გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან სიმონ გულედანთან ერთად ესწრებოდნენ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. მათ სადღესასწაულო მსვლელობაშიც მიიღეს მონაწილეობა.
დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია უკავშირდება ოქონის ხატს, რომელიც მე-12 საუკუნიდან გორის მფარველად მიიჩნეოდა. ხატი თამარ მეფის მიერ აშენებულ ტაძარში იყო დაბრძანებული. ის 1991-წლიანი კონფლიქტის დროს დაიკარგა. დაანგრიეს მისი სახელობის ტაძარიც. ხატი 2001 წელს კრისტის აუქციონზე აღმოაჩინეს. ის ახლა როგორც ერის საგანძური, თბილისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. კერძო შემოწირულობებით უკვე აღდგენილია ტაძარიც.
დღესასწაულის აღნიშვნის მივიწყებული ტრადიცია ატენისა და გორის მიტროპოლიტ მეუფე ანდრიას ლოცვა-კურთხევით 2004 წელს აღდგა.

მიმდინარე წლის 9 მაისს გორში ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.
გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა კონსტანტინე ბუზალაძემ, სახელმწიფო რწმუნებულთან სიმონ გულედანთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან დავით რაზმაძესთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მებრძოლთა მემორიალი გვირგვინებით შეამკო.
საბრძოლო დიდების მუზეუმთან შეიკრიბნენ სამამულო ომის მონაწილეების ახლობლებიც.
ხელისუფლების წარმომადგენლები დიდების მუზეუმსაც ეწვივნენ. მუზეუმში დაცულია მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების პირადი ნივთები – საბრძოლო ჯილდოები, ფოტო სურათები და სხვა რელიქვიები.
მეორე მსოფლიო ომში საქართველომ უმძიმესი დანაკარგი განიცადა – ჩვენმა ქვეყანამ 300 000 - მდე ჯარისკაცი დაკარგა.

მიმდინარე წლის 8-12 მაისს გორის მუნიციპალიტეტმა ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა ”EBIT 2025” - ში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ბათუმში გაიმართა.
გამოფენაზე დამთვალიერებელს ჰქონდა საშუალება, ინფორმაცია მიეღო გორის მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული ობიექტების შესახებ.
სპეციალურად მოწყობილ შემოქმედებით კუთხეებში ასევე გაიმართა რეწვის მასტერკლასები.
რიგით მე-16 საერთაშორისო გამოფენაში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტები, ტურიზმის სფეროს, საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მიმდინარე წლის 17 მაისს გორში ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე აღინიშნა.
სასულიერო პირები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მრევლი მაცხოვრის აღდგომის მშენებარე ტაძარში შეიკრიბნენ, სადაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი აღევლინა.
პარაკლისს დაესწრო და საზეიმო მსვლელობაში ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა კონსტანტინე ბუზალაძემ.
გორში გამართულ მსვლელობას მოქალაქეები შიდა ქართლის რეგიონის ქალაქებიდანაც შეუერთდნენ.
მსვლელობა, რომელსაც სასულიერო პირები მიუძღვოდნენ, ყოვლადწმინდა ვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრამდე გაგრძელდა.

ღმიმდინარე წლის 18 მაისს გორის მუნიციპალიტეტში მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში,საბრძოლო დიდების, ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში,ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში მოეწყო სხვადასხვა ღონისძიებები მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.
ვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრამდე გაგრძელდა.
ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, ილია II-ის ინიციატივით უკვე ტრადიციულად ყოველ წელს იმართება.
მიმდინარე წლის 23 მაისს გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი კონსტანტინე ბუზალაძე შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ სიმონ გულედანთან და მერის მოადგილე თამაზ შიოშვილთან ერთად ფესტივალის - „ხელოვნება საზღვრებს გარეშე“ გამარჯვებულ ახალგაზრდებს შეხვდა.
გორის მერიამ „დასი 13“ მადლობის სიგელით დააჯილდოვა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ წარმატება მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.
საერთაშორისო კინოსა და თეატრის ფესტივალის “ხელოვნება საზღვრებს გარეშე” ფარგლებში, თურქეთში, ალანიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, „დასი 13“ წარმატებით წარსდგა და გრანპრი მოიპოვა.
ფესტივალი გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის და ა(ა)იპ „ჭკვიანი მომავლის“ თანადაფინანსებით გაიმართა.

მიმდინარე წლის 24 მაისს გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სივრცეში ქალ მეწარმეთა საგაზაფხულო გამოფენა/ბაზრობა გაიმართა.
გამოფენილი პროდუქცია გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა კონსტანტინე ბუზალაძემ დაათვალიერა.
ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის რეგიონული ოფისის მხარდაჭერით გაიმართა.
ბაზრობაზე წარმოდგენილი იყო ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ქალების ნამუშევრები.
პარალელურად, შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები გაიმართა ბავშვებისთვის.

მიმდინარე წლის 26 მაისს გორში, ცენტრალურ მოედანზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებები გაიმართა.
ღონისძიებებს ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.
საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით აღინიშნება.
გორის ცენტრალურ მოედანზე მთელი დღის განმავლობაში გაიმართა კულტურული, სპორტული, საბავშვო და გასართობი აქტივობები, თეატრალური წარმოდგენები, მასტერკლასები, შემეცნებითი ქვიზები.
სტუმრებს დაათვალიერეს საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა; მოეწყო მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვაც.
მთელი დღის განმავლობაში მუშაობდა საკონსულტაციო სივრცეები, სადაც მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ საჭირო ინფორმაცია იუსტიციის სახლის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლებისგან.
დღის ბოლოს გაიმართა გალა კონცერტი ადგილობრივი და მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით.

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა. თეატრის მიმდებარედ არსებულ სკვერში მოწყობილი გასართობი, სპორტული და სხვადასხვა სახის საგამოფენო სივრცეები გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა კონსტანტინე ბუზალაძემ სახელმწიფო რწმუნებულთან სიმონ გულედანთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან დავით რაზმაძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.
სკვერში პატარებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ ადგილობრივი შემსრულებლებისთვის, დაეთვალიერებინათ წარმოდგენილი ნამუშევრები, დასწრებოდნენ ანიმატორების წარმოდგენებს
ღონისძიებები გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურისა განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა.

მიმდინარე წლის 15 ივნისს გორის მწერალთა სახლში ჩატარდა წიგნის, 'გორი ქართულ პოეზიაში", პრეზენტაცია. კრებულში შესულია ასზე მეტი ავტორის ლექსი, რომელიც ეძღვნება გორს.

საოცრად ლამაზ ღონისძიებას ესწრებოდნენ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული სიმონ გულედანი, რწმუნებულის პირველი მოადგილე მიხეილ ფავლენიშვილი, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. ავტორებმა წაიკითხეს ლექსები გორზე. გამომსვლელებმა ისაუბრეს წიგნის მნიშვნელობაზე.
აღსანიშნავია, რომ გორში ლიტერატურული მოღვაწეობა აქტიურია და არა მარტო გორში, მთელ შიდა ქართლში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტის „ხელოვნება საზღვრების გარეშე“ფარგლებში ახალგაზრდებმა ახალბაღის მიმდებარე სკვერში მიმდინარე წლის 15 ივნისს პერფორმანსი გამართეს.
პროექტში ჩართულები იყვნენ გორსა და გორის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდები.

პროექტის მიზანი სპექტაკლებისა და მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნა
150 ახალგაზრდა (მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები), რომლებიც პროექტის ფარგლებში კინო და სამსახიობო ხელოვნებას, გადაღებას, მონტაჟს, გრაფიკულ არქიტექტურას, სცენარის შექმნასა და ფერების კორექციას სწავლობდნენ, კონკურსის წესით შეირჩნენ.
სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, პროექტის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმების სცენარების კონკურსში.
პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდებმა შექმნეს ასევე გორის მუნიციპალიტეტის საიმიჯო ვიდეორგოლებიც.
3 თვიანი პროექტის ფარგლებში მოეწყო 5 კინოჩვენებაც, რის შემდეგაც ახალგაზრდებმა მოაწყეს დებატები და იმსჯელეს სხვადასხვა სოციალურ თემებზე.
პროექტი, რომელიც წარმატებული ბენეფიციარების დასაქმებასაც ითვალისწინებს, ა(ა)იპ ,,ჭკვიანი მომავალი“ ახორციელებს.
ინიციატივა გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

მიმდინარე წლის 27 ივნისს გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ალექსანდრე ზაზარაშვილის კონცერტი გაიმართა, რომელმაც გორელი მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

მიმდინარე წლის 1 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ლეგენდარული ანსამბლი ,,ორერა''-ს 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით კულტურის ცენტრში კონცერტი გაიმართა, რომელმაც გორელი მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

მიმდინარე წლის 10 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით კულტურის ცენტრში ვაჟა დურგლიშვილის საიუბილეო კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბესიკ კალანდაძე, ზურაბ კობეშავიძე კონცერტმა
გორელი მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

მიმდინარე წლის 17-18-19 ივლიისს გორში, ლიტერატურული და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „მაჩაბელი“ ჩატარდა,რომელიც გორის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ იყო ორგანიზებული.
პროექტი სამინისტროს, უნივერსიტეტისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა.
ერისთავის თეატრში ლიტერატურული კონკურსის „მაჩაბელი“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.
გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა კონსტანტინე ბუზალაძემ მერიის პრიზი - ფულადი ჯილდო 3000 ლარიანი ვაუჩერი ნომინაციაში წლის საუკეთესო პოეტური კრებულის - ავტორს ტარიელ ხალხელაურს გადასცა.

ლიტერატურული კონკურსის „მაჩაბელი“ ორგანიზატორია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
კონკურსის დამფუძნებელია დეპუტატი გიორგი სოსიაშვილი.
კონკურსის მიზანია საოკუპაციო ხაზთან არსებული რეგიონის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების გამრავალფეროვნება, ლიტერატურის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში, ახალი ავტორებისა და ლიტერატურული კერების აღმოჩენა და რეგიონის ცნობადობის გაზრდა.

მიმდინარე წლის 21 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით შადრევანის მიმდებარე ტერიტორიაზე კონცერტი გაიმართა ,რომელშის მონაწილეობდნენ ზაზა მარჯანიშვილი, მარიკო ებრალიძე, ელის ბენდი,ნალის ბენდი კონცერტმა გორელი მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

მიმდინარე წლის 31 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით შადრევანის მიმდებარე ტერიტორიაზე კონცერტი გაიმართა ,რომელშის მონაწილეობდნენ ქუჩის ბიჭები,ნინი ქარსელაძე, მარიკა თხელიძე კონცერტმა გორელი მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

პროექტი "კინო გენია 2025"
პროექტი,რომელშიც 200 - მდე გორელი ახალგაზრდა იყო ჩართული (მათ შორის კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლებიდან) გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ორგანიზაცია ა(ა)იპ ,,ქართული გენია ჰოლდინგის'' თანადაფინანსებით განხორციელდა.
მოზარდები ორი თვის განმავლობაში ჩართულები იყვნენ საგანმანათლებლო (ტრენინგები) და შემოქმედებით აქტივობებში (კინოგადაღებები).
კულტურულ - შემეცნებითი პროექტი ითვალისწინებდა გასვლით ღონისძიებასაც. ოცდაათმა წარმატებულმა ახალგაზრდამ ატენში სამდღიან ბანაკში გააგრძელა შემოქმედებითი მუშაობა.
პროექტის მიზანი იყო მოზარდების კინოხელოვნებით დაინტერესება და ფილმების საშუალებით საზოგადოებაში არსებული სოციალური გამოწვევების გადაჭრის გზების გაცნობა.

მიმდინარე წლის 26-31 აგვისტოს გორელი ახალგაზრდების ჩართულობით სტეფანწმინდაში მოეწყო ფოლკლორისა და ხელოვნების ფესტივალი "სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია".

ახალგაზრდები ხუთი დღის განმავლობაში ეწვივნენ გველეთის ჩანჩქერს და დაათვალიერეს ულამაზესი დარიალის ხეობა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტში ბიისის საზაფხულო ბანაკის მონაწილე ის აქტიური ახალგაზრდები ჩაერთნენ, რომლებიც განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგებით.

სტეფანწმინდაში მოეწყო ცეკვის, სიმღერის საღამოები და ახალგაზრდების მიერ ბიისის ბანაკში გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება.

პროექტი გორის მუნიციპალიტეტის მერიის "კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის" ფარგლებში ასოციაცია „ტონთიოსთან“ თანამშრომლობით განხორციელდა.

სოფელ ნიქოზში, 1-7 სექტემბრის ჩათვლით, რიგით მე -12 საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალმა ერთი კვირის განმავლობაში 28 ქვეყნის 187 რეჟისორის 176 ფილმს უმასპინძლა.
სტუმრებმა დაათვალიერეს ახალაშენებულ კერამიკის სახელოსნოში ქართველი და უცხოელი კერამიკოსების ნამუშევრების გამოფენა, მოინახულეს მუზეუმები და უფრო ახლოს გაეცნენ საქართველოს კულტურას.
ანიმაციური ფესტივალის ფარგლებში გაიმართა როგორც ფილმების ჩვენებები, ასევე მუსიკალური და ქორეოგრაფიული წარმოდგენები, გამოფენები, სემინარები და მასტერკლასები, ფესტივალში კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიაც იღებდა მონაწილეობას.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა.
გორში ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.
მემორიალთან შეიკრიბნენ აფხაზეთის ომში მონაწილე ვეტერანები.
ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათთან ერთად კიდევ ერთხელ გაიხსენეს 32 წლის წინ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები და პატივი მიაგეს უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულთა სულების ხსოვნას.
"დღეს შევიკრიბეთ და პატივს მივაგეთ ჩვენს გმირებს.
სოხუმის დაცემის დღე ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა საქართველოს უახლეს ისტორიაში.
31 წელი გავიდა, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები და მშობლიური მიწიდან დევნილი უამრავი ადამიანი.

გორში „საგუნდო მუსიკის ფესტივალი 2025“ მიმდინარე წლის 23 სექტემბერს გაიხსნა.
ღონისძიებას გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი კონსტანტინე ბუზალაძე ესწრებოდა.

მიმდინარე წელს ფესტივალი გორელი კომპოზიტორისა და პედაგოგის ჯემალ ბეგლარიშვილის 85 წლისთავს ეძღვნება. კონსტანტინე ბუზალაძის ინიციატივით, გორში ერთ - ერთ ქუჩას ჯემალ ბეგლარიშვილის სახელი მიენიჭა (გოგებაშვილის ქუჩის პარალელური სანაპირო).

ფესტივალში მონაწილეობას იღებენ საქართველოში არსებული აკადემიური და საბავშვო საგუნდო კოლექტივები.

გორში საგუნდო მუსიკის ტრადიციას დიდი ისტორია აქვს. ფესტივალი დიდი მაესტროს შალვა მოსიძის სახელთანაა დაკავშირებული. ღონისძიება 26 დასრულდა.

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს გორში სახალხო დღესასწაული „გორის დღე 2025“ აღინიშნა.
ღონისძიებას გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი კონსტანტინე ბუზალაძე, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან , საკრებულოს თავმჯდომარესთან, პარლამენტარებთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა. მათ სტუმრებთან ერთად თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოფენილი პროდუქცია, ხელოვანების ნამუშევრები და სხვადასხვა ორგანიზაციების კუთხეები დაათვალიერეს.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სახის გასართობი, კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული სანახაობები და აქტივობები.
„გორის დღის“ დღესასწაულზე ტრადიციულად ქალაქის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. "საპატიო გორელი" წელს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ხუთი ადამიანი გახდა.
საპატიო მოქალაქის ტიული მიენიჭათ:

იმედო ხუციშვილი - ექიმი

კახა თოფჩიშვილს - მხატვარი

ფატი ფულარიანს - მსახიობი

არჩილ ბარამიძეს - მწვრთნელი

გივი აბალაკს - ფერმერი

„გორის დღე 2025 “ გალა-კონცერტმა დაასრულა. კონცერტში, მონაწილეობა მიიღეს მუსიკალურმა ჯგუფებმა "ქუჩის ბიჭები", "Soft Wave" და "კანუდუსი''

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს ხელისუფლების წარმომადგენლები გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ვეტერანებს შეხვდნენ და ,,ვეტერანების დღე'' მიულოცეს.
შეხვედრის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს დიდების მუზეუმთან არსებული სამშობლოსთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტირებული ვეტერანები (შშმ პირები) წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახმარების სახით 1000 ლარს იღებენ.

კულტურა /პროექტები 2025 წელი

#	პროექტის დასახელება	განმცხადებელი ორგანიზაცია/პირი	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	ორგანიზაციის ფინანსური წილი	მერიის ფინანსური წილი	ბენეფიციარი	პროექტის ხანგრძლივობა	შინაარსი
1.	,,ხელოვნება საზღვრებს გარეშე“	ა(ა) იპ ,,ჭკვიანი მომავალი“ ს/კ 418468152	71 520 ლარი	7 320 ლარი	ხელშ.№1/ 24 იანვარი, 64 200 ლარი	500	იანვარი-დეკემბერი	პროექტი განხორციელდება რამდენიმე ეტაპად, მონაწილეობას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები.
2.	„შშმ ახალგაზრდებში მოტორიკის უნარების განვითარება სხვადასხვა ხელობების სწავლით.“	ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის დირექტორი თინა ბრეგვაძე ს/კ 218016420	26 667 ლარი	3 897 ლარი	ხელშ. №2/ 24 იანვარი 22 770 ლარი	50	იანვარი-დეკემბერი	შშმ პირებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და შესაბამისად პროფესიული უნარების განვითარებას.

3.	პროექტი ,,RIGA SINGS – 2025”	სსიპ - ქ. გორის სულხან ციცნცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი დირექტორი ნადეჟდა მანჯავიძე	134 124 ლარი	58 237 ლარი	ხელშ. №3/ 30 იანვარი 30 000 ლარი	55	3-8 აპრილი	სსიპ - ქ. გორის სულხან ციცნცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის გოგონათა გუნდი მონაწილეობას მიიღებს ლატვიის დედაქალაქ რიგაში საგუნდო კონკურსზე.
4.	პროექტი ,,კერამიკის სკოლა “	ფ/პ გიორგი ტატულაშვილი პ/ნ 59001035169	10 585 ლარი	960 ლარი	ხელშ.№4/ 4 თებერვალი 9 625 ლარი	20	თებერვლი-დეკემბერი	მოსწავლეებმა შეისწავლეს თიხის დამუშავება და კერამიკული ნივთების დამზადება.
5.	პროექტი - ,,თაობათა კავშირი- სწავლება და ტრადიციის გადაცემა“	ა(ა)იპ ნიქოზის წმ.ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლა დირექტორი დათო ჭიღლაძე ს/კ 218082526	26 920 ლარი	1 620 ლარი	ხელშ.№5/ 7 თებერვალი 25 300 ლარი	50	თებერვლი-დეკემბერი	ხელოვნების სკოლის მოსწავლეების და პედაგოგების ჩართულობით დამზადდება ქორეოგრაფიული სამოსი.
6.	პროექტი ,,ხალხური რეწვისა და	ი/მ მარინე ბეგლარიშვილი	3 400 ლარი	400 ლარი	ხელშ.№6/ 27 მარტი 3 000 ლარი		მარტი - აგვისტო	მოსწავლეები შეისწავლიან ხალხური რეწვის

	ეროვნული სამოსის დამზადების სკოლა"							დახმარებით ეროვნული სამოსის დამზადებას.
7	ლიტერატურული კონკურსი ,,მაჩაბელი“	გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	33 030 ლარი	25 000 დონორი ორგანიზაციები/1 330 უნივერსიტეტის წილი	ხელშ.№7/ 30 აპრილი 6 700 ლარი		ივნისი-ივლისი	ლიტერატურაში ახალი სახეების აღმოჩენა და დაჯილდოება.

სპორტის განყოფილება

2025 წლის შესრუეებული სამუშაო

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტუტული ერთეულის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტის განყოფილება მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს:

- სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;
- სპორტული მუნიციპალური პროგრამების განხორციელება კოორდინაციას;
- მუნიციპალური სტადიონების, სპორტული მოედნების, სპორტული კომპლექსების, ფუნქციონირების ხელშეწყობას;
- სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელებას;
- შემოსული კორესპონდენციის და დოკუმენტაციის ელექტრონულ საქმისწარმოებას.
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;

გორის მუნიციპალიტეტის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამისა და გორის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების პროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში ფინანანსდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციები, ასევე, წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენები.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტუტული ერთეულის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტის განყოფილების მიერ 2025 წლის შესრულებული/დაფინანსებული პროექტები:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის

განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

2025 წელი

სპორტის განყოფილება

#	პროექტის სახელწოდება	განმცხადებელი ორგანიზაცია/პირი	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	ორგანიზაციის ფინანსური წილი	მერიის ფინანსური წილი	ბენეფიციარი	პროექტის ხანგრძლივობა	ორგ. საიდენ. კოდი	შინაარსი
1	კალათბურთის განვითარების პროგრამა	ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი „ივერიონი-გორი“ კლუბის პრეზიდენტი ილია ჯოლბორდი	753 800 ლარი	133800 ლარი	620000 ლარი	150	03.01.2025 - 31.12.2026 სპ-15	418478418	თანადაფინანსება ითვალისწინებს კალათბურთის განვითარების ხელშეწყობას. „ივერიონი-გორი“ მონაწილეობს საქართველოს სუპერ ლიგაში, ასევე ჰყავს ასაკობრივი გუნდები.
2	„რაგბის განვითარების პროგრამა“	შპს „გორის ჯიქი“ შპს „გორის ჯიქი“-ს დირექტორი	571 150 ლარი	17 150 ლარი	554 000 ლარი	130	27.01.2025 31.12.2025 სპ-02 18.07.2025 31.12.2025 სპ-08	402191267	თანადაფინანსება ითვალისწინებს, რაგბის განვითარების ხელშეწყობას. გორის ჯიქი ასპარეზობს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, დიდ ათში. ასევე ყავთ ასაკობრივი გუნდები.

		ნიკა გოგინაშვილი							
3	„ბოჩა - ჩვანთვის აქტიური სპორტი“	ა(ა)იპ „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“ დირექტორი- თინათინ ბრეგვაძე	10315 ლარი	1295 ლარი	9020 ლარი	30	27.01.2025 - 31.12.2025 სპ-01	218016420	დაფიანსების მიზანია შშმ პირების მომზადება და ჩართულობა სპორტულ აქტივობებში.დაფინანსებით განსაზღვრულია მწვრთვნელის სახელფასო უზრუნველყოფა.
4	ფრენბურთის განვითარება.	ა(ა)იპ „ქალთა და მამაკაცთა ფრენბურთის კლუბი გორი“ კლუბის დირექტორი- ზურაბ ოსაძე	80000 ლარი	50000 ლარი	30000 ლარი	20	31.01.2025 31.12.2025 სპ-05	418480584	დაფინანსების მიზანია ფრენბურთის განვითარების ხელშეწყობა. ფრენბურთის კლუბი მონაწილეობას იღებს საქართველოს ჩემპიონატში
5	„პროექტი აქტიური ცხოვრება ჩვენი სტიქიაა“ შშმ პირთათვის სხვადასხვა სპორტული ღონისძიებისთვის	ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდული მედიაკავშირი“ თავმჯდომარე- ხათუნა გავაშელი	17490 ლარი	2500 ლარი	14990 ლარი	30	30.01.2025 31.12.2025 სპ-04	405663385	პროექტი ითვალისწინებს, შშმ პირების ჩართულობას სპორტის სხვადასხვა სახეობებში, რომელშიც მონაწილეობას ირებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების. ღონისძიებები იმართება ქვეყნის მასშტაბით.

6	საჭიდაო კლუბი „ჩემპიონი“ განვითარების პროგრამა	ა(ა(იპ კლუბი ჩემპიონი კლუბის დირექტორი დავით ჩოჩიშვილი	44000 ლარი	4000 ლარი	40000 ლარი	100	29.01.2025 31.12.2025 სპ-03	418467947	საჭიდაო კლუბი „ჩემპიონი“ -ს დაფინანსება ითვალისწინებს თავისუფალი სტილით ჭიდაობის განვითარებას და ხელშეწყობას.
7	დავით ფაცინაშვილი უმაღლეს სასწავლებელში გადასახადის დაფინანსება	დავით ფაცინაშვილი	500 ლარი	-	500 ლარი	1	28.01.2025	-	დაფინანსება განსაზღვრულია, სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში და ითვალისწინებს, სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ასაკობრივი და ეროვნული ნაკრების წევრი სტუდენტების დაფინანსებას
8	„გორის გლობალური ტური ლაზერულ რბენაში“ პროექტის განსახორციელებლად.	ა(ა)იპ შიდა ქართლის თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ფედერაცია. პრეზიდენტი- მარინე კახიაშვილი	4 218,63 ლარი	810,63 ლარი	3 408 ლარი	1 00	23.05.2025 31.12.2025 სპ-06	418468287	გორის გლობალური ტური, ლაზერულ რბენაში. პროექტი ითვალისწინებს ხუთჭიდისა და ტრიატლონის პოპულარიზაციას.

	პროექტი Young Warriors 15 - ახალგაზრდა მებრძოლები 15	საქართველოს შერეული საბრძოლო ხელოვნებების ეროვნული ფედერაცია ჩემპიონი პრეზიდენტი- გიორგი კაბულაშვილი	13 500 ლარი	7 500 ლარი	6000 ლარი	550	07.08.2025 31.12.2025 სპ-09	405072905	ღონიძიება გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთში. ღონისძიების მიზანი იყო, შერეული საბრძოლო ხელოვნებების პოპულარიზაცია.
	საცხენოსნო დოღი	ა(ა)იპ შშმ პირთა სარეაბილიტაციო სპორტულ გამაჯანსაღებელი საცხენოსნო კლუბი კენტავრი დირექტორი- თენგიზ ქებაძე	2 500 ლარი	200 ლარი	2300 ლარი	50	10.09.2025 - 31.12.2025	417890945	ღონისძიების დაფინანსების მიზანი იყო, ცხენოსნობის განვითარების და პოპულარიზაციის ხელშეწყობა.ღონისძიებისთვის განსაზღვრული იყო საპრიზო ფონდი.
	სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ორგანიზება				3924	1 500- 2 000			პროექტის მიზანია მოზარდთა ჩართულობა სპორტულ აქტივობებში. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში ტარდება პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში

	შიდა ქართლის სპორტული თამაშების ფარგლებში, მარათონულ გარბენში რეგიონალური პირველობის ორგანიზებაში მონაწილეობა.					6 00			ღონისძიების მიზანია სპორტის პოპულარიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
	შიდა ქართლის სპორტული თამაშების ფარგლებში, ფეხბურთში რეგიონალური პირველობის ორგანიზებაში მონაწილეობა.					80			ღონისძიების მიზანია, ფეხბურთის პოულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვდრება. მოსახლეობის ცართულობა სპორტულ აქტივობებში.
	შიდა ქართლის სპორტული თამაშების ფარგლებში, კალათბურთში 3X3 რეგიონალური პირველობის ორგანიზებაში მონაწილეობა.					40			ღონისძიების მიზანია, კალათბურთის პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.მოსახლეობის ჩართულობა სპორტულ აქტივობებში.

	რუმინეთში, პარა მკლავჭიდში, ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, საბა ობოლაშვილის დაფინანსება	საბა ობოლაშვილი				1	29.05.2025 31.12.2025 სპ-07	პ/ნ 59401132262	დაფინანსება განსაზღვრულია, სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში და ითვალისწინებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში ჩართულობას.

N	განმცხადებელი ორგანიზაცია/პირი	პროექტი	მუნიციპალალიტეტის ხარჯი	ორგანიზაციის ხარჯი	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	ბენეფიციარი	ხელშეკრულების ვადა	საიდ. №	პროექტის შინაარსობლივი დატვირთვა
1	ა(ა)იპ "საერთაშორისო ტექნოლოგიური ინტელექტი"	"ახალგაზრდა ლიდერები 2025"	35000	3660	38660	80	07.02.2025-31.12.2025 ახალ 002	418483420	პროექტი, მოიცავს 80 ახალგაზრდის გადამზადებას, თანატოლგანამანათლებლის კუთხით. ახალგაზრდების შერჩევა მოხდა, თემებში, ლიდერული უნარჩვევებით გამორჩეული ბავშვების შერჩევის მეთოდით, ტრენინგების შემდეგ, ახალგაზრდები, თავიაანთ თემებში ატარებენ სხვადასხვა სახის აქტიობებს, შეხვედრებს, ტრენინგებს, სპორტულ და კულტურულ აქტიობებს. ტრენინგების ჩატარების ლოკაცია-დაბა ბაკურიანი
2	ა(ა)იპ "ქართული გენია ჰოლდინგი"	"ციფრული ინტელექტი 2025"	15000	3500	18500	200	07.02.2025-31.12.2025 № ახალ 001	418483359	პროექტი მოიცავს, ახალგაზრდებში ტექნოლოგიური უნარების განვითარებას, ვებ დეველოპერის და გეიმინგ დეველოპერის მეთოდიკის შესწავლის პროცესს. პროექტის ფარგლებში გაიმართა, კიბერ სპორტში ქალაქის პირველობა.
3	ა(ა)იპ "პასკალი 2012"	"რობოტოტექნიკა ყველასთვის"	16500	1600	18100	50	26.02.2025-31.12.2025 № ახალ 003; შეთანხმების აქტი ახალ 01	405672384	პროქეტის ფარგლებში, მოხდა კონკურსის საფუძველზე შერჩეული 60 მდე ახალგაზრდის გადამზადება რობოტენნოლოგიების მიმართულებით. ახალგაზრდებმა შეისწავლეს, როგორც რობოტიკა ასევე პროგრამირების საფუძვლები, რაც მათ ეხმარება სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების შექმნასა და პროგრამეირებაში.
4	სსიპ "გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	"საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები და იძულებით გადაადგილებული მოსწავლეებისა და სტუდენტების ფსიქოსოციალური მხარდაჭერა"	7811	900	8711	60	01.04.2025-31.12.2025 № ახალ 004	218076542	პროექტის, ფარგლებში, უნივერსიტეტის ბაზაზე გადამზადება გაიარა 20 მდე სტუდენტმა, რის შემდეგაც, სტუდენტების ჩაერთვნენ, სხვადასხვა სოფლებში ახალგაზრდებთან დაგეგმილ აქტიობებში, რომლის მიზანი იყო, არსებულ მდგომარეობაში სტრესთან ბრძოლის შესწავლა და ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული სტრესის დაძლევა.
5	სსიპ "გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	"სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხიარულთა და საზრიანთა გუნდი კეხურა"	3600	459	4059	10	01.04.2025-31.12.2025 № ახალ 005	218076542	პროექტის ფარგლებში, მხარი დაუჭირეთ, გორის უნივერსიტეტის მხიარულთა და საზრიანთა კლუბს შესაბამის კონკურსში მონაწილეობისთვის. გუნდის სახელწოდება "კეხურა"
6	ა(ა)იპ "პანონიმა"	"ინოვაციური მედიათეკა"	8000	2600	10600	30	10.04.2025-31.12.2025 № ახალ 006	417906387	პროექტის ფარგლებში მოხდა 30 ახალგაზრდის გადამზადება, ტელეჟურნალისტიკის მიმართულებით. ახალგაზრდებმა შეისწავლეს როგორც წამყვანის ასევე ოპერატორის, რეჟისორის და სხვა მომიჯნავე პროფესიები, რომლებიც დაკავშირებულია ტელემედეასთან.
7	ა(ა)იპ " საერთაშორისო ტექნოლოგიური ინტელექტი"	"მომავლის ახალგაზრდული ინტელექტი"	25700	3200	28900	30	10.04.2025-31.12.2025 № ახალ 007	418483420	პროექტის ფარგლებში, დაბა ქობულეთში, მოეწყო საზაფხულო ბანაკი, რომლის მიზანი გახლდათ, წინასწარ შერჩეული ახალგაზრდებში სამეწარმეო კომპეტენციების შესახებ კომპეტენციების გაუმჯობესება. ახალგაზრდებმა, ბანაკში შეისწავლეს ის ნიუანსები, რომელიც უნდა გაითვალისწინონ საგრანტო განაცხადებების ან საპროექტო განაცხადების შედგენის დროს. ასევე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, პროექტის პრეზენტაციის ტექნოლოგიის შესწავლას, რაც მომავალ მეწარმეებს დაეხმარება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას.
8	მარიამ ფილიშვილი	წახალისება	1277,2		1277,2	1			მარიამ ფილიშვილი გაემგზავრა, სტრასბურგში , ევროპარლამენტში დაგეგმილ საერთაშორისო, სამუშაო შეხვედრაზე
9	ანა აკოფაშვილი	წახალისება	1240		1240	1			ანი აკოფაშვილი იმყოფებოდა საფრანგეთში, ქალაქ პარიზში, სადაც გაიარა არბიტრაჟს აკადემიის კურსი
10	კასპის ტექნო პარკი	წახალისება	5000		5000	13			შიდა ქართლის მასშტაბით, ყოველწლიურად, იგეგმება ტექნოლოგიური ბანაკი დაბა ბაკურიანში სადაც, მონაწილეობას იღებს, შიდა ქართლის ქალაქებიდან 13-13 ახალგაზრდა. ბანაკში, ახალგაზრდები სწავლობენ, თანამედროვე ტექნოლოგიებს, ეცნობიან ახალ საშუალებებს, გეგმავენ და აკეთებენ შესაბამის მოდელებს, რომელიც საშუალებას იძლევა საზოგადოების სოციუმის გაუმჯობესების მიზნით **(ვალდებულება)**

11	ა(ა)იპ "ასოციაცია ტონთიო - მდგრადი გარემო და ტურიზმი"	"საზაფხულო ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი"	75000	17000	92000	420	04.07.2025-31.12.2025 № ახალ 008	217891716	ღია კონკურსის საფუძველზე, მოხდა 440 ახალგაზრდის შერჩევა საზაფხულო საველე ბანაკში ჩართვის მიზნით. აღნიშნული საველე ბანაკი, მოეწყო ტანას ხეობაში, ბანაკის მიზანია, ახალგაზრდების ინტეგრირება ბუნებასთან, რაც გარკვეულ წილად ეხმარება ახალგაზრდებს უცხო გარემოში ადაპტირებაში.
12	მარიამ კასრაძე	წახალისება	1182		1182	1			მარიამ კასრაძე იმყოფებოდა, ბელგიაში, ქალაქ რუგეში საერთაშორისო ურთიერთობის კუთხით სამაგისტრო პროგრამის დახურვის მიზნით.
13	ნატალია ანესაშვილი	წახალისება	1602		1602	1			ნატალია ანესაშვილი გაემგზავრა საფრანგეთში, სტრასბურგის უნივერსიტეტში, ერასმუს + ის ფარგლებში გამარჯვების შედეგად 1 სემესტრის განმავლობაში სწავლის მიზნით
14	თეკლა ხაჩიძე	წახალისება	1266,51		1266,51	1			თეკლა ხაჩიძე იმყოფებოდა ირლანდიაში სადაც გაიარა ერთ სემესტრიანი სასწავლო ტრენინგკურსი.
15	მარიამ მაისურაძე	წახალისება	3227		3227	1			მარიამ მაისურაძე გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1 წლიან სასწავლო და კულტურულ გაცვლით კურსზე
16	ნინო მაისურაძე	წახალისება	871,49		871,49	1			ნინო მაისურაძე გაემგზავრა საფრანგეთში, პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების მიზნით.
17	ნინო ზერეკიძე	წახალისება	663		663	1			ნინო ზერეკიძე გაემგზავრა, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩეხეთში, ქალაქ ბრნოში
			202940,2						